განკარგულება:**გ-63. 632335916**
თარიღი:**25/12/2023**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24 -ე მუხლის 1-ლი პუნქტი „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განიხილა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს მიერ 2024 წელს განსახორციელებელი პროგრამისა და ამ პროგრამის შესრულებისათვის საჭირო ხარჯის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს მიერ 2024 წელს განსახორციელებელი პროგრამა. (დანართი N1).

2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2024 წლის შემოსავალი. (დანართი N2).

3. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს პროგრამის ღონისძიებების 2024 წლის ხარჯები დანახარჯთა სახეების მიხედვით. (დანართი N3).

4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის“ პროგრამის ღონისძიებების 2024 წლის საკუთარი ხარჯები, დანახარჯთა სახეების მიხედვით. (დანართი N4).

5. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2024 წლის საშტატო განრიგი. (დანართი N5).

6. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრთან არსებული ლაბორატორიის 2024 წლის საშტატო განრიგი. (დანართი N6).

დანართი N1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის,

„საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი" 2024 წლის პროგრამა

1. გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები;

2. ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის განმტკიცება;

3. იმუნიზაციის მოცვის განხორციელება საინფორმაციო სისტემისა და ლოჯისტიკის გამართული მუშაობის გზით;

4. ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობის ინფორმირება დელეგირებული

უფლებამოსილების შესრულების შესახებ;

5. იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა;

6. იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა;

7. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის შესწავლა/დადგენა პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები;

8. პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა, დიაგნოსტიკა,პროფილაქტიკური მკურნალობა;

9. სანიტარული ღონისძიებები;

10. ბაქტერიოლოგიური და ქიმიური კვლევები;

11. „ც ჰეპატიტის, აივ ინფექცია შიდსისა და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამა;

12. მალარიის სახელმწიფო პროგრამა.

აღწერა:

1. პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა, დაავადებების კონტროლის პირველადი ღონისძიებები, ლაბორატორიული სინჯის აღება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებათა (მ/შ ტუბერკულოზის, შიდსის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების „ბ „ ც „ და სხვა ჰეპატიტების, ვაქცინაციით მართვადი დაავადებების ეპიდზედამხედველობა, მართვა, პრევენცია და კონტროლის ღონისძიებები.

2. იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, იმუნოპროფილაქტიკაზე რუტინული სტატისტიკური ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით, იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება შესაბამის კომპიუტერულ პროგრამაში, მონაცემთა რუტინული ანალიზი, შეფასება დაზუსტება, ვაქცინათა სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა, ვაქცინათა და სხვა ასაცრელი მასალის დაგეგმვა, მოთხოვნა, კოორდინაცია რეგიონალურ დონესთან, ვაქცინათა მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სამედიცინო დაწესებულებებზე, რომლებიც მონაწილეობენ იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში დადგენილი წესის მიხედვით.

3. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამის ანტინატალური მეთვალყურეობის კომპონენტის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებებისათვის „ცენტრიდან" ტესტებისა და სახარჯი მასალების გაცემა, აგრეთვე „ბ" ჰეპატიტის იმუნოგლობულინის გადაცემა იმ დაწესებულებებისათვის, რომლებიც ახორციელებენ სამეანო მომსახურეობას, სტრატეგიული შრატების , ანტირაბიული ვაქცინის და იმუნოგლობულინის მიღება-განაწილება.

4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესით, გადამტანების არსებობის და გავრცელების არეალის დადგენა სეზონის განმავლობაში.

5. პარაზიტული დაავადებების ეპიდკონტროლი და პროფილაქტიკა.

6. საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

7. „ც'' ჰეპატიტის, აივ ინფექცია შიდსისა და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამა ითვალისწინებს პირველადი ჯანადცვის სპეციალისტების ჩართვას მოსახლეობის მასიური სკრინინგის უზრუნველყოფის მიზნით, დადებითი შემთხვევების კონფირმაციულ კვლევას და მკურნალობაში ჩართვას . 18 წლის ზემო ასაკის ყველა ბენეფიციარის სკრინინგულ კვლევებს, ვინც არ არ არის დასკრინული.

8. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის განმტკიცება, არსებულ საფრთხეებზე რეაგირებისა და მზადყოფნის გაძლიერება მოიცავს: ა). სავალდებულო აღრიცხვას დაქვემდებარებულ გადამდებ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის განხორციელება, დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის დაზუსტება, კორექტირება და შესაბამის ბაზებში (EIDSS) მონაცემთა შეყვანა და ანალიზი.

   ბ) სამოქმედო ტერიტორიაზე გამოვლენილი გადამდები დაავადებების ეპიდსიტვაციის მონიტორინგი და ანგარიშგება მოქმედი წესების შესაბამისად.

მიზანი

მოსახლეობაში ინფექციური დაავადებების გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მათი ლიკვიდაციის, ელიმინაციისა და კონტროლის გზით.

მოსახლეობის სხვადასხვა კონტიგენტის იმუნიზაციით, სხვადასხვა ინფექციის მიმართ იმუნური ფენის შექმნით, ავადობის მინიმუმამდე დაყვანა, მოსახლეობის ვაქცინაციით მაღალი მოცვა და საშიში ინფექციური დაავადებების, ვაქცინაციის გზით თავიდან აცილება.

მალარიის კერების ელიმინაცია და მალარიის აფეთქების თავიდან აცილება.

ზემოთ აღნიშნული „ც ჰეპატიტის" ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამის მიზანია: 18 წლის ზემო ასაკის მოსახლეობის 90%-ის გამოკვლევა დიაგნოსტიკა და მკურნალობა, „ც ჰეპატიტის" ელიმინაცია შიდსისა და ტუბერკულოზის შემთხვევების გამოვლენა და შემდგომი მკურნალობაში ჩართვა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

საშიში და გადამდებ დაავადებების გამოვლენა, მათი შესაბამისი პროფილაქტიკური მკურნალობა და მოსახლეობის ფართო მასებში გავრცელების თავიდან აცილება. ქალაქის ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება .

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 90%-ის სკრინინგული კვლევებით მოცვა „ც ჰეპატიტზე, აივ ინფექცია შიდსზე და ტუბერკულოზის შემთხვევების მაქსიმალური გამოვლენა და მკურნალობაში ჩართვა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ავადობისა და ავადობის სტრუქტურის შესახებ სანდო იმფორმაციის მიღება, მიღებული ინფორმაციის შედეგებიდან გამომდინარე გამოვლენილი ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკა, მოსახლეობის ფართო მასებში გავრცელების თავიდან აცილება, ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 90%-ის სკრინინგული კვლევებით მოცვა „ც ჰეპატიტზე, აივ ინფექცია შიდსზე და ტუბერკულოზის შემთხვევების მაქსიმალური

გამოვლენა და მკურნალობაში ჩართვა.

დანართი N2 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის“ 2024 წლის შემოსავალი

N	შემოსავლის დასახელება	თანხა (ათ. ლარი)
1	**სუბსიდია (დელეგირებული ტრანსფერი)**	**269.50**
	სუბსიდია (დელეგირებული ტრანსფერი)	269.50
2	**სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან**	**42.30**
	ა) ლაბორატორია	36.40
	ბ) ც ჰეპატიტის, აივ ინფექცია შიდსისა და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამა;	5.90
	სულ სუბსიდია	**311.80**
3	**საკუთარი შემოსავლები.**	**11.00**
	ა) დ.კ.ე.ც.(გადამდებ დავადებათა ეპიდზედამხედველობის) პროგრამა	8.40
	მალარიის სახელმწიფო პროგრამა	2.60
	ჯამი:	**322.80**

დანართი N3

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის“ პროგრამის ღონისძიებების 2024 წლის ხარჯები, დანახარჯთა სახეების მიხედვით.

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი	ორგანიზაციული კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	ადგილობრივი ბიუჯეტი		ადგილობრივი სუბსიდია	მიზნობრივი ტრანსფერი	სულ ჯანდაცვა
			ლაბორატორია	„ც ‘‘ ჰეპატიტი			
1	**060101**	**შემოსულობები**	**36.40**	**5.90**	**42.30**	**269.50**	**311.80**
2		**მომუშავეთა რიცხოვნობა**			**5**	**13**	**18**
2		**ხარჯები**	**36.40**	**5.90**	**42.30**	**154.50**	**196.80**
2.1		**შრომის ანაზღაურება**	26.80	1.80	28.60	113.50	142.10
2.2		**საქონელი და მომსახურება**	**9.10**	**4.10**	**13.20**	**37.80**	**51.00**
2.7		**სოციალური უზრუნველყოფა**	0.50	0.00	0.50	**3.20**	**3.70**
31		**არაფინანსური აქტივების ზრდა**	**0.00**	**0.00**	**0.00**	**115.00**	**115.00**

დანართი N4

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის“ პროგრამის ღონისძიებების 2024 წლის საკუთარი ხარჯები, დანახარჯთა სახეების მიხედვით. ***(ათასი ლარი)***

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი	ხარჯის დასახელება	დ.კ.ე.ც პროგრამა (საკუთარი შემოსავალი)		
		ეპიდზედამხედველობა	მალარია	საკუთარი შემოსავლით სულ ხარჯი
2	ხარჯები	8.40	2.60	11.00
2.1	შრომის ანაზღაურება	8.00	2.60	10.60
2.2	საქონელი და მომსახურება	0.40	0.00	0.40

დანართი N5

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის“ 2024 წლის საშტატო განრიგი

N	სტრუქტურული საშტატო ერთეული	კატეგორია	თვის სარგო	წლიური ხელფასი
	ადმინისტრაცია			
1	დირექტორი (იმუნიზაციის მენეჯერი)	სამსახურის უფროსი	1188	14256
2	მთავარი ბუღალტერი	სპეციალისტი	979	11748
	პროფილური შრომითი რესურსი			
3	ექიმი ეპიდემიოლოგი (პირველადი, მათ შორის შორის ცოფზე ეპიდკვლევები წარმოება)	წამყ.სპეციალისტი	935	11220
4	საფინანსო-საბუღალტრო საქმის სპეციალისტი	მთ. სპეციალისტი	786	9432
5	იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკაზე (ცივ ჯაჭვზე) პასუხისმგებელი პირი	სპეციალისტი	567	6804
6	საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი	სპეციალისტი	698	8376
7	ექიმი პრევენციონისტი/ პროფილაქტიკოსი (სანიტარული ნორმების კონტროლი)	უფრ.სპეციალისტი	781	9372
8	ექიმი ეპიდემიოლოგ-პარაზიტოლოგი	უფრ.სპეციალისტი	715	8580
9	ენტომოლოგი	სპეციალისტი	699	8388
10	პარაზიტოლოგი-ლაბორანტი	სპეციალისტი	567	6804
11	ინსტრუქტორ-ბონიფიკატორი	უმც.სპეციალისტი	528	6336

12	დამლაგებელი	დამხ.სპეციალისტი	473	5676
13	კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტი		500	6000
	საერთო ჯამი:		**9416**	**112992**

დანართი N6

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრთან არსებული ლაბორატორიის საშტატო განრიგი

N	სტრუქტურული საშტატო ერთეული	კატეგორია	თვის სარგო	წლიური ხელფასი
1	ექიმი-ბაქტერიოლოგი	უფრ.სპეციალისტი	490	5880
2	ქიმიკოსი	უფრ.სპეციალისტი	484	5808
3	ქიმიკოსი	უფრ.სპეციალისტი	484	5808
4	ბაქ-ლაბორანტი	სპეციალისტი	385	4620
5	ქიმ-ლაბორანტი	სპეციალისტი	385	4620
	საერთო ჯამი:		**2228**	**26736**

7. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი